„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)"

# რეგიონებში განხორციელებული სპეციალური ტრანსფერები წინა საარჩევნო პერიოდში

(იანვარი, 2013 წელი)

ავტორი: გოგა თუშურაშვილი

წინამდებარე ნაშრომი მომზადდა ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" **(IDFI)** მიერ პროექტის **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა-** www.opendata.ge" ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია **ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს"** მიერ.

*წინამდებარე კვლევა მოიცავს საქართველოს თვითმმართველი ერთეულებისგან მიღებული ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ ძირითადი მიმართულებების გამოაშკარავება, რომლებზეც ათვისებული იქნა 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, მთავრობის სარეზერვო ფონდი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამა) თვითმმართველი ერთეულებისთვის განხორციელებული სპეციალური ტრანსფერები.*

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.

© ყველა საავტორო უფლება დაცულია. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

აკრძალულია კვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

საქართველოში არსებული დასახლებები (თვითმმართველი ქალაქები) და დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტები) წარმოადგენენ თვითმმართველ ერთეულებს, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. გარდა ამისა, ყველა თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც ფორმირდება საკუთარი და არა საკუთარი შემოსულოლებისგან. საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება მათ მიერ დაწესებული ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გათანაბრებითი ტრანსფერი. თვითმმართველი ერთეულის მიერ საკუთარი შემოსულობების ხარჯვა მიმდინარეობს მათი შეხედულებისამებრ, ხოლო რაც შეეხება არა საკუთარ შემოსულობებს მათ განეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები. **სპეციალური ტრანსფერი** თავისი შინაარსით წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულისთვის ეკოლოგიური და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, ასევე კონკრეტული კაპიტალური და სხვა მიმდინარე ხარჯებისთვის გამოყოფილ სახსრებს, ხოლო **მიზნობრივი ტრანსფერი** წარმოადგენს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილ სახსრებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი (www.mof.ge) დაინტერესებულ პირებს აძლევს საშუალებას მიიღონ ინფორმაცია საქართველოს რეგიონებში მიმართული თანხების შესახებ. როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებიდან ირკვევა, 2012 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში გადარიცხულმა თანხამ შეადგინა **933 322 900** ლარი, რაც 309 928 600 ლარით აღემატება 2011 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში მათთვის გადარიცხულ თანხას. სოლიდური განსხვავება 2011 წლის და 2012 წლის პირველი 9 თვეების შედარებისას ძირითადად განპირობებულია 2011 წლის 9 თვის განმავლობაში განხორციელებული შედარებით მცირე ოდენობის სპეციალური ტრანსფერების გამო.




2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან - ირკვევა, რომ მთელი წლის განმავლობაში თვითმმართველ ერთეულებში განხორციელებულმა სპეციალურმა ტრანსფერმა შეადგინა **569 109 100 ლარი.** *ალნიშნული მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ 2011 წელს თვითმმართველ ერთეულებში განხორციელებული სპეციალური ტრანსფერების უდიდესი ნაწილი მოდის მე-4 კვარტალზე, რაც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს წინასაარჩევნო პერიოდთან, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალის „ქართული ოცნები"-ს გამოჩენა.*

როგორც ზემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ირკვევა, 2012 წლის 9 თვის განმავლობაში თვითმმართველი ერთეულებისთვის გადარიცხული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის **სპეციალურ ტრანსფერზე**. სპეციალური ტრანსფერები განხორციელებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სხვადასხვა ფონდებისთვის და პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხებიდან, რომელთა შორისაა აგრეთვე **საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდები.** დეტალურად თანხების მოძრაობის შესახებ თვითმმართველ ერთეულებში წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.




2012 წლის 9 თვის მანძილზე თვითმმართველი ერთეულების მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხების ათვისება მიმდინარეობდა ქვეყანაში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესების პარალელურად. ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) ინტერესის სფეროს წარმოადგენდა თუ რა მიზნობრიობით იქნა ათვისებული თვითმმართველი ერთეულების მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხები. **თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ინსტიტუტმა ყველაზე დიდი ინტერესი გამოხატა სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელებულ სპეციალურ ტრანსფერების მიზნობრიობაზე.** IDFI-იმ თვითმმართველ ერთეულებს მიმართა მათ ბიუჯეტებში განხორციელებული სპეციალური ტრანსფერების დეტალური ხარჯთაღრიცხვების მოთხოვნით და მათ მიერ მეტ-ნაკლები სისრულით მოწოდებული ხარჯთაღრიცხვებზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ ქვემოთ გაანალიზებული იქნება თუ რა პრიორიტეტებით იქნა ათვისებული სხვადასხვა ფონდისა და პროგრამის ფარგლებში თვითმმართველ ერთეულებში განხორციელებული სპეციალური ტრანსფერები.

## საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

2012 წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში განხორციელებული სპეციალური ტრანსფერების უდიდესი ნაწილი მოდის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გადარიცხვაზე. ხსენებული პერიოდის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა **301 381 500 ლარი**, საიდანაც გადარიცხულია **256 232 600 ლარი.** გადარიცხული თანხის **67% (172 399 300 ლარი)** მიმართული იქნა საქართველოს ათი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, ხოლო დანარჩენი თანხა გადანაწილდა ყველა სხვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებში.

**საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გადარიცხული ყველაზე დიდი თანხების ათეული.**

| N | თვითმმართველი ერთეული | ჩარიცხული თანხა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 33 419 800 |
| 2 | ახალციხის მუნიციპალიტეტი | 29 900 000 |
| 3 | ქუთაისის მერია | 21 199 900 |
| 4 | მესტიის მუნიციპალიტეტი | 18 956 100 |
| 5 | გორის მუნიციპალიტეტი | 15 060 000 |
| 6 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა | 13 918 600 |
| 7 | თბილისის მერია | 12 905 400 |
| 8 | ფოთის მერია | 10 525 000 |
| 9 | რუსთავის მერია | 8 675 000 |
| 10 | გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 7 839 500 |
| | სულ | 172 399 300 |

ინსტიტუტმა პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიმართა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მათთვის გადარიცხული თანხების დეტალური ხარჯთაღრიცხვების მოთხოვნით. თვითმმართველი ერთეულებისგან მეტ-ნაკლები სისრულით მოწოდებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად თუ რა მიმართულებებით იქნა ათვისებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 2012 წლის ცხრა თვის განმავლობაში. ზემოთ მოყვანილი 10 თვითმმართველი ერთეულისათვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის უდიდესი ნაწილის გადარიცხვა განპირობებულია გახმაურებული პროექტების დაფინანსების გამო.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს ყველაზე დიდი თანხა **(33 419 800 ლარი)** გადარიცხულია **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის.** ინსტიტუტის მოთხოვნაზე ზემოთ მოყვანილი თანხის დეტალური ხარჯთაღრიცხვის მოწოდების თაობაზე, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული იქნა მხოლოდ საქართველოს მთავრობის N55 განკარგულებით მათთვის გამოყოფილი (2 300 000 ლარი) თანხის ხარჯთაღრიცხვა. ინსტიტუტი ვარაუდობს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან დანარჩენი თანხის დეტალური ხარჯთაღრიცხვის მოწოდებიდან თავის არიდება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის თანხის გადარიცხვა ატარებდა სიმბოლურ ხასიათს, რეალურად თანხები მიემართებოდა სახელმწიფო 100% წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, რომლებიც ემსახურებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში შესყიდული წყლის პარკის, ანაკლია განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე კაფე-რესტორნის, ცენტრალური პარკის, ქალაქი ლაზიკის მშენებლობებს, ხოლო ფინანსთა სამინისტრო ხსენებულ შპს-ებში გადარიცხულ თანხებს ასახავდა როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გადარიცხულ თანხებს. დეტალურად აღნიშნული საკითხისადმი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინსტიტუტის მიერ opendata blog-ზე - შემოთავაზებული სტატია- *„მთავრობის უცნობი განკარგულებები (თანხების გამოყოფა ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის)“.*

რაც შეეხება უშუალოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს, ირკვევა რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მათთვის გადარიცხული თანხებიდან ინფრასტრუქტურული სამუშაოების გარდა, მათ მიერ ყველაზე დიდი თანხა დახარჯულია **სახანძრო ავტომობილების შეძენაზე.**

| ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სახანძრო ავტომობილები | | | |
|---|---|---|---|
| სახანძრო ავტომობილი (კიბე) | გამოშვების წელი | შემსრულებელი | გადახდილი თანხა |
| MERSEDES-BENZ-2544 | 1996 | შპს „პირამიდა-ჯი“ | 675 000 ლარი |
| MERSEDES-BENZ-ACTORS2032 | უცნობია | შპს „პირამიდა-ჯი“ | 720 000 ლარი |

ზუგდიდის თვითმმართველი ერთეულის მსგავსად, ხდება თანხების გადარიცხვა **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან**, ასევე **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის** და **თბილისის მერიის ბიუჯეტებში.** საქართველოს მთავრობის განკარგულებებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს-ს **„Goderdzi Resorts”**-ს გამოეყო **5 918 000 ლარი** სათხილამურო კურორტის განვითარების მიზნით, ხოლო **ააიპ - თბილისის განვითარების ფონდს გამოეყო 8 000 000 ლარი** ძველი თბილისის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით. *ორივე შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს დაევალა აღნიშნული თანხები აღერიცხა შესაბამისად, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თბილისის მერიის ბიუჯეტებისთვის გაკეთებული ტრანსფერი.*

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სიდიდით მეორე თანხა **(29 900 000 ლარი)** გადარიცხულია **ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის**. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის აღნიშნული თანხის გადარიცხვა განპირობებულია ქ. ახალციხის ისტორიული ნაწილის (რაბათის უბანი) სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯებით. ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული რაბათის უბნის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალური ხარჯთაღრიცხვა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

**ქუთაისის მერიისთვის** 2012 წლის 9 თვის განმავლობაში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გადარიცხულმა თანხამ შეადგინა **21 199 900.** ქუთაისის მერიამ IDFI-ის მიერ გაგზავნილ მოთხოვნის მოწოდებას აღნიშნული თანხის დეტალური ხარჯთაღრიცხვის შესახებ თავი აარიდა, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული საქართველოს მთავრობის განკარგულებებიდან, რომლებიც ეხება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქუთაისის მერიისთვის თანხის გამოყოფას, ირკვევა რომ ქუთაისის მერიას აღნიშნული თანხა გამოეყო ეტაპობრივად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, მათ შორის, ქ. ქუთაისში მშენებარე პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახლების ფასადების მოწესრიგებისთვის

**2 500 000 ლარი,** ხოლო ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების რეაბილიტაციისათვის - **2 300 000 ლარი.**

ქუთაისის მერიის მსგავსად, აღნიშნული ინფორმაციის მოწოდებისგან თავი შეიკავა **მესტიის, გორის** და **გურჯაანის მუნიციპალიტეტების გამგეობებმა.** გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის შემთხვევაში ინსტიტუტს განუმარტეს, რომ ინფორმაციის მოსაწოდებლად საჭირო იყო მოთხოვნის დაკონკრეტება.

| დასახელება | წლიური გეგმა | გადარიცხული თანხა | გადასარიცხი თანხა |
|---|---|---|---|
| გორის მუნიციპალიტეტი | 18,825.0 | 15,060.0 | 3,765.0 |
| გორის მუნიციპალიტეტი | 1,991.9 | 1,400.0 | 591.9 |

ამონაწერი ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდიდან. ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტისთვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გადარიცხული თანხების შესახებ.

**6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან თქვენი თვითმმართველი ერთეულისათვის 2012 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში გადარიცხული 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარის დეტალური ხარჯთაღრიცხვა.**

**7. სახელმწიფო ბიუჯეტის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თქვენი თვითმმართველი ერთეულისათვის 2012 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში გადარიცხული 15 060 000 (თხუთმეტი მილიონ სამოცი ათასი ) ლარის დეტალური ხარჯთაღრიცხვა.**

ინსტიტუტის მიერ გაგზავნილი მოთხოვნა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის.

მე-6, მე-7 პუნქტებთან მიმართებაში კი გთხოვთ დამატებით დაკონკრეტებას რათა ნათელი გახდეს თქვენი მოთხოვნა.

გორის გამგეობის პასუხი ზემოთ მოყვანილ ინსტიტუტის მოთხოვნაზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ზემოთ ხსენებული მუნიციპალიტეტების შემთხვევაში მათვის გამოყოფილი თანხების უდიდესი ნაწილის მიზნობრიობა წარმოადგენდა შემდეგს:

- ქალაქ გორში წერეთლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისთვის გამოიყო - 7 900 000 ლარი (მთავრობის N213 განკარგულება);
- მესტიაში ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით გამოიყო 13 000 000 ლარი (მთავრობის N677 და N859 განკარგულებები);

- **გურჯაანის მუნიციპალიტეტში სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის რეაბილიტაციისთვის გამოიყო - 3 100 000 ლარი (მთავრობის N408 განკარგულება).**

რაც შეეხება, ჩვენს მიერ წარმოდგენილ ყველაზე დიდი თანხების ამთვისებლების ათეულში მოხვედრილ ადგილობრივი თვითმმართველობის კიდევ სხვა ორგანოებს - **ფოთის მერიას** და **რუსთავის მერიას**, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ირკვევა, რომ მათთვის რეგიონების განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გადარიცხული თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებებით:

ფოთის მერია

- ✓ თეატრის მშენებლობა - 2 000 000 ლარი
- ✓ საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია - 3 800 000 ლარი
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 4 700 000 ლარი
- ✓ სპორტული მოედნის მოწყობა - 25 000 ლარი

რუსთავის მერია

- ✓ გზის რეაბილიტაცია - 2 192 923 ლარი
- ✓ საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების რეაბილიტაცია - 3 402 277ლარი
- ✓ სპორტული მოედნის აღდგენა - 818 621 ლარი
- ✓ ააიპ „რუსთავის კორპუსს“ - 880 234 ლარი
- ✓ საცხოვრებელ კორპუსებში სახურავების რეაბილიტაცია - 274 937 ლარი

ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გადარიცხული 10 ყველაზე დიდი თანხის ანალიზი. რაც შეეხება დანარჩენი თვითმმართველი ერთეულების მიერ ათვისებულ თანხებს, მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, **რომ უდიდესი ნაწილი მოხმარებულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.**
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ათვისებული თანხები ძირითადად გადანაწილებულია შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

- o საგზაო სამუშაოები (ასფალტის დაგება, ხიდები, ბოგირები და სხვა)
- o წყლის სისტემის რეაბილიტაცია
- o საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწყობა
- o სპორტული მოედნების რეაბილიტაცია
- o სკვერების რეაბილიტაცია
- o გარე განათების მოწყობა
- o ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია

## საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში განხორციელებული სპეციალური ტრანსფერებით გამორჩეული იყო საქართველოს **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი.** 2012 წლის 9 თვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა **39 226 000 ლარი**, რომლის უდიდესი ნაწილი - **30 460 000 ლარი გადარიცხულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის**. რეგიონებში განხორციელებული ყველა აღნიშნული გადარიცხვა მცირე დროის მონაკვეთში **18 ივნისიდან - 26 ივლისამდე განხორციელდა.**

| 2012 წლის ივნის - ივლისში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მილიონ ლარზე ზევით გამოყოფილი თანხები (ლარში) | |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავი | 2 200 000 |
| ხაშურის მუნიციპალიტეტი | 1 330 000 |
| ჭიათურის მუნიციპალიტეტი | 1 290 000 |
| სამტრედიის მუნიციპალიტეტი | 1 160 000 |
| ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 1 140 000 |
| ქარელის მუნიციპალიტეტი | 1 130 000 |
| გორის მუნიციპალიტეტი | 1 060 000 |
| თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი | 1 020 000 |

იმისთვის, თუ როგორ გადანაწილდა აღნიშნული თანხა თითოეულ თვითმმართველ ერთეულში, ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა სტატია - პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები (ნაწილი პირველი). ამჯერად IDFI-ის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, თუ რაზე იქნა დახარჯული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან წინასაარჩევნო პერიოდში გადარიცხული თანხები ადგილობრივი

თვითმმართველობების მიერ. ინსტიტუტმა 62 ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს მიმართა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გადარიცხული თანხების დეტალური ხარჯთაღრიცხვების მოთხოვნით. 46 მათგანმა მეტ-ნაკლები სისრულით დააკმაყოფილა ინსტიტუტის მოთხოვნა. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაცია საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ, თუ რა ღონისძიებებზე იქნა ათვისებული წინასაარჩევნოდ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი. 50 თვითმმართველი ერთეულის მიერ მოწოდებულია მათ მიერ ათვისებული **23 143 320 ლარის** მეტ-ნაკლებად დეტალური ხარჯთაღრიცხვა. თუ რა პრიორიტეტებით გადანაწილდა აღნიშნული თანხა შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ სექტორულ დიაგრამაზე.



როგორც მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან წინასაარჩევნო პერიოდში თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხული თანხების უდიდესი ნაწილი ათვისებულია ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასაფინანსებლად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული მიმართულების პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად შექმნილია სპეციალური ფონდები, რომლის ეფექტური გამოყენებით შესაძლებელია წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ამომრჩეველზე ორიენტირებული ღონისძიებების თავიდან აცილება.




ბაღდათის მუნიციპალიტეტში განხორციელებული გზის სარეაბილიტაციო და გარე განათების სამუშაოები

როგორც ზემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა ნაჩვენები, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გადარიცხული თანხა ინფრასტრუქტურული ღონისძიების დაფინანსების გარდა, ზოგიერთი თვითმმართველი ერთეულის მხრიდან გამოყენებული იქნა სოციალური დახმარებების განსახორციელებლად. **წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტის ფონდიდან თვითმმართველი ერთეულებისთვის გამოყოფილი თანხებიდან მოქალაქეებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა, საზოგადოების მხრიდან, შეიძლება, აღქმული იქნას, როგორც ამომრჩეველთა მოსყიდვის მცდელობის ფაქტები.**

1. ქვემოთ ჩამოთვლილ მოქალაქეებს გაეწიოთ ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
2. ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გაცემა მოხდეს პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით. კომისიის, 2012 წლის 27 აგვისტო (ოქმი #13) სხდომაზე დაკმაყოფილდეს 239 მოქალაქის განცხადება, საერთო თანხით 22 150 ( ოცდაორი ათას ას ორმოცდაათი ) ლარი.

ცენტრი

| № | გვარი, სახელი | მისამართი | თანხა |
|---|---|---|---|
| 1 | [redacted] თინათინი | [redacted] | 100 |
| 2 | [redacted] თათია | [redacted] | 100 |
| 3 | [redacted] ვახტანგი | [redacted] | 70 |
| 4 | [redacted] ლუბა | [redacted] | 70 |
| 5 | [redacted] მარინა | [redacted] | 70 |
| 6 | [redacted] ნათელა | [redacted] | 60 |
| 7 | [redacted] ნოდარი | [redacted] | 60 |

თვითმმართველ ქალაქ ფოთში საპრეზიდენტო ფონდიდან გადარიცხული თანხებით განხორციელებული ერთეჯერადი სოციალური დახმარებების მცირე ჩამონათვალი.

შენიშვნა: მოქალაქეების გვარებს და მისამართებს IDFI შეგნებულად არ ასახელებს.

## ➢ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

2012 წლის 9 თვის მანძილზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხა გადაირიცხა ასევე **საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.** ამ პერიოდში გამოყოფილია **9 043 600 ლარი,** საიდანაც გადარიცხულია **6 157 600 ლარი.** საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მსგავსად, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან რეგიონებისთვის თანხის გამოყოფა განსაკუთრებით გააქტიურდა ივლისის თვეში. ყველაზე დიდი თანხა (6 500 000) ლარი გამოიყო საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივლისის N1329 განკარგულებით. აღნიშნული თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით გადანაწილდა ოთხ თვითმმართველ ერთეულზე.

| საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 ივლისის N1329 განკარგულება | |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი | **2 000 000 ლარი** |
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავი | **1 500 000 ლარი** |
| თვითმმართველი ქალაქი ფოთი | **1 500 000 ლარი** |
| გორის მუნიციპალიტეტი | **1 500 000 ლარი** |

2012 წლის ივლისის თვეში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გამოიყო ასევე **1 116 000 ლარი.** აღნიშნული თანხის გამოყოფას ემსახურებოდა მთავრობის 2012 წლის 13 ივლისის №1380 განკარგულება, რომლის მიხედვითაც **ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირების მიერ საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა შეხვედრის ორგანიზებისთვის ზემოთ ხსენებული** თანხა გადანაწილდა საქართველოს სამოცდასამ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულსა (თითოეულს ერგო 16 000 ლარი) და ცხრა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაზე (თითოეულს ერგო 12 000 ლარი).




საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№1380 2012 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირების მიერ საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა შეხვედრის ორგანიზების, სტუმრების მიღებისა და სხვა წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 1 116 000 (ერთი მილიონ ას თექვსმეტი ათასი) ლარი, მათ შორის:

ა) ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს – 1 008 000 (ერთი მილიონ რვა ათასი) ლარი №1 დანართის შესაბამისად;

საქართველოს მთავრობის 13 ივლისის N1380 განკარგულება. სრულად იხილეთ ზემოთ მოცემულ ბმულზე.

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის სტუმრების მიღება-მომსახურებისთვის 14490 ლარის გამოყოფას ეხმაურება ასევე 2012 წლის 30 იანვრის საქართველოს მთავრობის N131 განკარგულება.



www.opendata.ge

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის**

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

№131 2012 წლის 30 იანვარი ქ. თბილისი

**მესტიის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაბა მესტიაში გამგეობის სტუმრების მიღება-მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მესტიის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 14 490 (თოთხმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაათი) ლარი.

ნიკა გილაური

**საქართველოს მთავრობის 30 იანვრის N131 განკარგულება.**

გაურკვეველია რა ტიპის შეხვედრების ორგანიზებისთვის იქნა ზემოთ მოყვანილი თანხები გადანაწილებული საქართველოს ყველა თვითმმართველ ერთეულში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან წინასაარჩევნო პერიოდში.

2012 წლის 13 ივლისს გამოიცა, ასევე, საქართველოს მთავრობის N1378 განკარგულება, რომლის მიხედვითაც გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტებს სარწყავი არხების სატუმბი არხების ფუნქციონირებისთვის გამოეყოთ **670 000 ლარი**.

2012 წლის 20 ივლისის საქართველოს მთავრობის N1125 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტს გამოეყო **32 000 აშშ დოლარის** ეკვივალენტი ლარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ორი ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლების შეძენის მიზნით.

როგორც ვნახეთ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის განსაკუთრებით დიდი თანხების გამოყოფა მოხდა ივლისის თვეში, რაც შეეხება ივლისის თვემდე გაცემულ საქართველოს მთავრობის განკარგულებებს შემდეგნაირად გამოიყურება:

| 2012 წლის ივლისის თვემდე გაცემული მთავრობის განკარგულებები თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფაზე | | | |
|---|---|---|---|
| მთავრობის განკარგულება | თვითმმართველი ერთეული | გამოყოფილი თანხა (ლარი) | მიზანი |
| N5, 4.01.2012 | ახმეტის მუნიციპალიტეტი | 20 000 | ქ. ახმეტაში ქარიშხლის შედეგად დაზიანებული სახურავების შეკეთება |
| N118, 24.01.2012 | მესტიის მუნიციპალიტეტი | 400 000 | შპს „MESTIA RESORTS" - ის ფუნქციონირებისთვის |
| N131, 30.01.2012 | მესტიის მუნიციპალიტეტი | 14 490 | გამგეობის სტუმრების მიღება-მომსახურებისთვის |
| N129, 30.01.2012 | გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 44 000 | სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის რეაბილიტაცია |
| N216, 21.02.2012 | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი | 20 000 | დიდთოვლობის გამო სატრანსპორტო მიმოსვლის უზრუნველყოფისთვის |
| N343, 29.02.2012 | სენაკის მუნიციპალიტეტი | 170 000 | საომარი მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაცია |
| N663 24.05.2012 | მესტიის მუნიციპალიტეტი | 80 000 | გამგეობის ახალი შენობის დაცვის უზრუნველყოფა |

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2012 წლის 9 თვის განმავლობაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გადაერიცხათ **43 515 300 ლარი**, რაც წლიური გეგმის **87%-ს** შეადგენს. აღნიშნული დროის მონაკვეთში თვითმმართველი ერთეულებისათვის ზემოთ ხსენებული პროგრამის ფარგლებში გადარიცხული თანხების ***უდიდესი ნაწილი (62 % - 27 065 300 ლარი) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში გადაირიცხა 2012 წლის მესამე კვარტალში (ივლისი - სექტემბერი).*** წინამდებარე პროგრამის ფარგლებში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისგან განსხვავებით თანხების გადანაწილება სხვადასხვა მუნიციპალიტეტში შედარებით თანაბარზომიერად განხორციელდა. ყველაზე დიდი თანხების ადრესატი მუნიციპალიტეტების პირველმა ათეულმა ერთობლივად სრულად გადარიცხული თანხის 30 % შეადგინა.

| სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გადარიცხული ყველაზე დიდი თანხების ათეული. | | |
|---|---|---|
| N | თვითმმართველი ერთეული | ჩარიცხული თანხა (ლარი) |
| 1 | მარნეულის მუნიციპალიტეტი | 1 991 000 |
| 2 | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი | 1 802 300 |
| 3 | გორის მუნიციპალიტეტი | 1 400 000 |
| 4 | გარდაბნის მუნიციპალიტეტი | 1 330 000 |
| 5 | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 1 300 000 |
| 6 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 1 200 000 |
| 7 | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 1 150 000 |
| 8 | გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 1 096 000 |
| 9 | დუშეთის მუნიციპალიტეტი | 1 000 000 |
| 10 | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი | 1 000 000 |
| | სულ | 13 423 300 |

IDFI-იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიმართა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მათთვის გადარიცხული თანხების დეტალური ხარჯთაღრიცხვების მოთხოვნით. თვითმმართველმა ერთეულებმა მეტ-ნაკლები სისრულით დააკმაყოფილეს ინსტიტუტის მოთხოვნა. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაცია საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ, თუ რა მიმართულებებით იქნა ათვისებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხული თანხები.

დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხსენებული ფონდიდან მიღებული თანხების ათვისება მიმდინარეობდა მსგავსი ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ზემოთ განხილული ფონდების მაგალითზე. მაგალითად, თუ განვიხილავთ ყველაზე დიდი თანხის მიმღებს - მარნეულის მუნიციპალიტეტს, ვნახავთ რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში მათთვის გადარიცხული 1 991 000 ლარი ათვისებული იქნა შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით. მოქალაქეთა სახელებს და გვარებს ინსტიტუტი შეგნებულად არ ასახელებს.



მარნეულის მუნიციპალიტეტის მსგავსად სხვა თვითმმართველი ერთეულებისგან მიღებული პასუხების შემთხვევაშიც მაგვარი მდგომარეობა გვაქვს - თანხა ძირითადად ათვისებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სადაც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მათთვის გადარიცხული **1 000 000 ლარიდან** მოძიებულ იქნა თანხები სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესაძენად.

საქართველოს მთავრობის **2012** წლის **31** იანვრის **N162** განკარგულებით სოფლის მხარაჭერის პროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი **1258,1** ათასი ლარის ხარჯთაღრიცხვა

2012 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით

| N | პროექტის დასახელება | გეგმა (ათას ლარებში) | ფაქტი (ათას ლარებში) |
|---|---|---|---|
| 1 | გზების და ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 284,3 | 230,2 |
| 2 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 206,3 | 140,9 |
| 3 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 82,5 | 73,4 |
| 4 | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 20,8 | 19,7 |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა | 300,5 | 167,8 |
| 6 | სპორტული მოედნების შემოღობვა | 38,7 | 30,4 |
| 7 | სარიტუალო დარბაზების მოწყობა | 111,0 | 94,4 |
| 8 | ფანჩატურების მოწყობა | 12,0 | 11,2 |
| 9 | სარიტუალო ინვენტარის შეძენა | 38,3 | 22,1 |
| 10 | მზის ფოტოელექტრო სისტემების შეძენა | 51,8 | 44,2 |
| 11 | სკვერების მოწყობა | 20,1 | 13,0 |
| 12 | ეკლესიების რეაბილიტაცია | 35,7 | 14,7 |
| 13 | სანაგვე ურნების შეძენა | 9,0 | 9,0 |
| 14 | კულტურის სახლების რეაბილიტაცია | 9,3 | 9,3 |
| 15 | ცხენების შეძენა | 2,1 | 2,1 |
| 16 | სამედიცინო ამბულატორიების შეკეთება-მოწყობა | 34,2 | 33,1 |
| 17 | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია | 1,5 | 0,4 |
| | **სულ:** | **1 258,1** | **915,9** |
| | **ადგ. ბიუჯეტში ჩარიცხული** | | **1000,0** |
| | **ნაშთი (სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა)** | | **84,1** |

## ბიუჯეტში გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი

2012 წლის 9 თვის განმავლობაში, ზემოთ მოყვანილი ფონდების გარდა საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში სპეციალური ტრანსფერები განხორციელდა, მათ შორის უშუალოდ **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერებისთვის გამოყოფილი თანხების მეშვეობითაც.** ზემოთ მოყვანილ დროის მონაკვეთში სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულმა სპეციალურმა ტრანსფერმა შეადგინა **69 555 000 ლარი,** ***რომლის უდიდესი ნაწილი - 57 214 000 ლარი გადარიცხული იქნა ქალაქ ბათუმის ბიუჯეტისთვის,*** ხოლო დანარჩენი თანხა გადანაწილდა შემდეგნაირად: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში - **5 400 000 ლარი,** ქ. თბილისის ბიუჯეტში - **5 000 000 ლარი,** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში - **241 000 ლარი,** სხვა ადგილობრივ თვითმართველობების ბიუჯეტებში - **2 100 000 ლარი.**



# დ ა ს კ ვ ნ ა

IDFI-ის მიერ ზემოთ მოყვანილ კვლევაში თვითმმართველი ერთეულებისგან მიღებულ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაანალიზებული იქნა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც ათვისებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თვითმმართველი ერთეულებისთვის განხორციელებული სპეციალური ტრანსფერების უდიდესი ნაწილი. კვლევამ ნათლად გამოავლინა, ***რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული სხვადასხვა ფონდებიდან და პროგრამების ფარგლებში თვითმმართველი ერთეულებისთვის სპეციალური ტრანსფერების განხორციელება განსაკუთრებით გააქტიურდა წინასაარჩევნო პერიოდში.***

